



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

---

### ვარდიაშვილი ვარო (ბარბარე) მათეს ასული

ვარდიაშვილი ვარო (ბარბარე) მათეს ასული (1888, სოფ. ვაქირი, ახლანდ. სიღნაღის მუნიციპალიტეტი, – 5. I. 1962, თბილისი), პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე. საქართვე. დამს. მასწავლებელი (1939). დაამთავრა ბოდბის წმ. ნინოს ქალთა სასწავლებელი (1905). სხვადასხვა დროს მუშაობდა სოფ. ალექსანდროვკის (სიღნაღის მაზრა) სახალხო სკოლაში, ბოდბის საცდელ-სანიმუშო სახალხო სკოლაში და შვიდწლიან სანიმუშო სკოლაში, სიღნაღის ქალთა პროგიმნაზიაში რუს. ენისა და ლიტ-რის მასწავლებლად, თბილ. ქალთა I გიმნაზიაში ქართ. ენისა და ლიტ-რის მასწავლებლად. არის ავტორი სახელმძღვანელოებისა: „კლასგარეშე კითხვის ორგანიზაციისათვის“ (1948), „სალიტერატურო ენის სინქნდისათვის“ (1954), „განმეორება – ცოდნის განმტკიცებისა და გაღრმავების აქტიური მეთოდი“ (1951) და სხვ.

**ა. სამადაშვილი**

---